მეფე და დალაქი

ინდოთ მეფე აბანოს იბანებოდა და დალაქი თავსა პარსავდა. რა ყელთან სამართებელი მიიღო, მეფეს უთხრა: შენი ასული შემრთეო.

გაუკვირდა მეფესა და მიცემას დაჰპირდა.

გამოვიდა აბანოდამ, ვაზირთა ჰკითხა: ვით შემომდვა ქალის თხოვაო?

მათ მოახსენეს: ფერხი სალაროსა ზედა სდგმია და მას უთქმევინებიაო.

მოთხარეს აბანოს ძირი და სულ ოქროთა და ვეცხლითა სავსე იყო.

– ჰე, შენ, რუქავ შენც ფერხი ან განძთა ზედან გიდგას და ანუ ღმერთს გაუწირავხარ სიკვდილად, თვარა ესრეთსა უბრალოსა რას უბნობ?

თქვა რუქამ არაკი: